საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

ბრძანება

19 11 2021 წ. №225 ქ. თბილისი

მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის 2021 წელს პროექტის განვითარების დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი №2/7) შემოტანილ პროექტთა შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე

სსიპ-კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტისა და სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული „მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის 2021 წელს პროექტის განვითარების დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი №2/7) შემოტანილ პროექტთა შეფასების წესი".
2. დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში-კინოცენტრი) IT სპეციალისტს დავით ყურაშიძეს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების კინოცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება.
3. ბრძანება ძალაშია კინოცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

დირექტორი

გაგა ჩხეიძე

ვამტკიცებ
საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრის დირექტორი
_____ გ. ჩხეიძე
19. 11. 2021 წელი

მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის 2021 წელს პროექტის განვითარების დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი #2/7) შემოტანილ პროექტთა შეფასების წესი

1. სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 20 ოქტომბრის #182 ბრძანებით გამოცხადებული მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის 2021 წლის პროექტის განვითარების დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი #2/7) შემოტანილ პროექტებს განიხილავს სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ეროვნული კინოცენტრი) საექსპერტო კომისია, რომელიც შედგება 3 წევრისგან.
2. საექსპერტო კომისიის წევრები ეცნობიან №2/7 კონკურსზე შემოტანილ პროექტებს, რის შემდეგაც დათქმულ დროს დგება პროექტების პრეზენტაცია და გასაუბრება თითოეული პროექტის ავტორებთან, ამის შემდეგ კომისიის წევრები კომისიის სხდომაზე აფასებენ პროექტებს თანდართული დანართი 1–ით განსაზღვრული ფორმით 1-დან 10 ქულამდე და წარმოადგენენ მინიჭებული ქულის წერილობით არგუმენტაციას.
3. კომისიის წევრები ახორციელებენ პროექტის შეფასებას თანდართული დანართ 2-ის გათვალისწინებით.
4. საბოლოო შედეგი მიიღება ქულათა დაჯამების შედეგად, საექსპერტო კომისია კონკურსის შედეგებს ეროვნულ კინოცენტრს წარუდგენს დასკვნის სახით.
5. საექსპერტო კომისია რეკომენდაციას აძლევს ეროვნულ კინოცენტრს დააფინანსოს ის პროექტები, რომლებიც მიიღებენ ქულათა მაქსიმუმს.
6. ეროვნული კინოცენტრი საექსპერტო კომისიის დასკვნის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობის თაობაზე და განსაზღვრავს თითოეული პროექტისთვის დაფინანსების ოდენობას.

დანართი 1

ანიმაციური ფილმის პროექტის განვითარების კონკურსის პროექტების რეიტინგული სია

N	პროექტი	შეფასება
1.		
2.		
3.		
4.		
5.		
6.		
7.		
8.		
9.		
10.		
11.		
12.		
13.		
14.		
15.		

კომისიის წევრი (სახელი, გვარი)

ხელმოწერა

დანართი 2

ანიმაციური ფილმის პროექტის განვითარების კონკურსზე

წარმოდგენილი პროექტების

შეფასების წესი

- გთხოვთ, პროექტის შეფასებისას ყურადღება გაამახვილოთ შემდეგ კომპონენტებზე:

1. სცენარი

- იდეა/თემა
- დრამატურგია
- პერსონაჟები
- დიალოგები/ტექსტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

2. რეჟისორი

- რეჟისორის მოტივაცია
- ხედვა
- ატმოსფერო/სტილი
- წინა ნამუშევარი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

3. პროდიუსერი

- პროდიუსერის მოტივაცია
- პროექტის სადისტრიბუციო პოტენციალი

4. *პერსონაჟები და ფილმის ვიზუალური კონცეპტის შეფასება*

- პერსონაჟის დიზაინი ფერში (პერსონაჟის ხასიათი და ვიზუალური სტილი)
- პერსონაჟების ჩანახატები მოძრაობაში
- ფილმის ვიზუალური კონცეპტი

- გთხოვთ, პროექტი შეაფასოთ ერთი საერთო ქულით 1-დან 10-ის ჩათვლით და ეს ქულა ჩაწეროთ რეიტინგული სიის შესაბამის გრაფაში.

- გთხოვთ, წერილობით წარმოადგინოთ თქვენს მიერ მინიჭებული ქულის არგუმენტაცია. ტექსტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 1 ნაბეჭდ გვერდს.